



ხილისა და ბოსტნეულის გრძელის მარტივი ტექნოლოგია საოჯახო პირობებში



პუბლიკაცია მომზადდა და გამოიცა პროექტის „ქალთა როლის გაძლიერება ყველასათვის“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ხიდერლანდების მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით და ორგანიზაციასთან „ევროპელი ქალები საერთო მომავლისათვის (WECF)“ თანამშრომლობით. პროექტს ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები—საქართველო, სოფლად თემთა განვითარების სააგენტო, საქართველოს ეკოლოგიურ მიწათმოქმედთა ასოციაცია „სემა“, ახალციხის განვითარების ცენტრი და ქალთა ორგანიზაცია „ფაროსი“



პუბლიკაცია მომზადებულია

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები—
საქართველოს მიერ

საქართველო, თბილისი, გრ. მუხაძის ქუჩა №16, 0162
ტელ.: (+995 32) 2 30 62 21
ელ.ფოსტა: info@greens.ge Web: www.greens.ge

გამოცემაზე მუშაობდნენ:
ავთანდილ გელაძე
ლელა ყაჭეიშვილი

დიზაინი:
ირაკლი გულედანი

შესავალი

წინამდებარე პუბლიკაციაში წარმოდგენილია ხილისა და ბოსტნეულის პროდუქტების შრობის უმარტივესი ტექნოლოგიები და ამ პროცესების ენერგეტიკული უზრუნველყოფის მიზნით მზის ენერგიის გამოყენების უმარტივესი მოწყობილობები.

ჩვენი მიზანია საყოფაცხოვრებო პირობებში და მცირებიზნესის ჩარჩოებში წარმოების პროცესში მზის ენერგიის მაქსიმალურად და ეფექტურად გამოყენების ხელშეწყობა.



ხილისა და ბოსტნეულის შრობის მარტივი ტექნოლოგია

შრობა, გასაშრობად შერჩეული მასალიდან (ხილი, ბოსტნეული) სითხის გამოდევნას ნიშნავს.

ბოსტნეულიდან და ხილიდან სითხის გამოდევნა იწვევს ბიოქიმიური და მიკრობიოლოგიური გარდაქმნების გამომწვევი ფერმენტებისა და მიკროორგანიზმების აქტივობის შემცირებას, რის შედეგადაც იზრდება ხილის და ბოსტნეულის შენახვის ვადა.

ამდენად, შრობის შედეგად:

- ხილსა და ბოსტნეულს უნარჩუნდება კვებითი ღირებულება;
- მალფუჭადი ხილი და ბოსტნეული ხდება საკმაოდ სოლიდური შენახვის ვადის მქონე პროდუქტი;
- წონისა და მოცულობის თითქმის 5-ჯერ შემცირების გამო ხილისა და ბოსტნეულის მშრალი პროდუქტი ხდება გაცილებით ხელსაყრელი ტრანსპორტირებისათვის.

შრობისას მაქსიმალურად უნდა იყოს შენარჩუნებული შერჩეული სახეობის ბუნებრივი თვისებები: გემო, არომატი, ფერი და სხვა. რადგან შემდგომი მოხმარების დროს, წყლის დამატებით ადგილად შევძლოთ შერჩეული სახეობის საწყის მდგომარეობასთან მიახლოება.

აღსანიშნავია, რომ შრობის დროს შერჩეული სახეობიდან სითხის სრულად გამოდევნა შეუძლებელია. ამიტომ მეცნიერულ დონეზე განსაზღვრულია ჩირში სითხის არსებობის დასაშვები მაქსიმალური დონე. მაგ.: ბოსტნეულის ჩირში ტენიანობა აუნდა აღემატებოდეს 15%-ს, ხოლო ხილის ჩირში 25%-ს.



ხილისა და ბოსტნეულის შრობის შედეგად, შესაძლებელია მალფუჭადი კვების პროდუქტის გადაყვანა ხანგრძლივად შენახვის ისეთ მდგომარეობაში, რომ არ შეიცვალოს მისი კვებითი ღირებულებები და გემოვნებითი ოვისებები.

ამ დროს პროდუქტის (ჩირის) მოცულობა საწყის მდგომარეობასთან შედარებით მცირდება 3-5-ჯერ, წონა უფრო მეტად, რაც შენახვის ვადებთან ერთად აუმჯობესებს მისი შეფუთვისა და ტრანსპორტირების პირობებს. უმჯობესდება არსებული საკვები ნივთიერებების შენახვის პირობებიც, რადგანაც ისინი ჩირში მოცემულია კონცენტრირებული სახით.

არსებობს შრობის უფრო რთული ტექნოლოგიები, რომელიც ითვალისწინებს ნედლეულის შემცველი ნივთიერებების გარდაქმნასაც (მაგალითად შავი, გრეხილი ჩაის და მუქი ალაოს შრობა) თუმცა, ამჟამად მას არ განვიხილავთ.



საჩირედ შერჩეულ სახეობაში ტენიანობის შემცირება ხდება შემდეგნაირად,

როდესაც:

- შერჩეული სახეობიდან სითხე გამოიდევნება სითხის საზით;
- შერჩეული სახეობიდან სითხე გამოიდევნება აორთქლების გზით;

თუმცა, არსებობს სხვა მეთოდები, რომლებიც საჭირობს სპეციალურ დანადგარებსა და ტექნოლოგიებს.

შერჩეული სახეობიდან სითხის გამოდევნა სითხის სახით გულისხმობს მასალის დაწნებას, სპეციალურ ჰურჭელში მოთავსებას და ქიმიური მეთოდებით სითხის მოცილებას, ხოლო სითხის გამოდევნა აორთქლების გზით გულისხმობს სითბური ენერგიის გამოყენების გზით მასალაში არსებული სითხის აორთქლებას, მას ხშირად თბურშრობას უწოდებენ.

შრობისათვის განკუთვნილი ხილ-ბოსტნეულის დახასიათება

შრობისათვის გამოიყენება მცენარის მხოლოდ პროდუქტიული ნაწილი:

- ძირი;
- ნაყოფი;
- ღერო;
- ფოთოლი.



მცენარეები საკვები ნივთიერებების შემცვლელობის მიხედვით დაყოფილია:

- ფოთლოვანებად;
- ძირხვენებად;
- ხახვისნაირებად (ბოლქოვნები);
- ტუბეროვნებად;
- ხილეულებად.



ფოთლოვანი მცენარეებიდან შრობისათვის ძირითადად გამოიყენება:

- კამა;
- ოხრახუში;
- ხახვის მწვანე ფოთოლი;
- ქინძი;
- კომბოსტო.



ხახვისნაირებიდან:

- ხახვი;
- ნიორი.



ტუბეროვნებიდან:

- კარტოფილი.



ძირხვენებიდან:

- ჭიარხალი;
- სტაფილო;
- ოხრახუში;
- ძირთეთრა.



ხილეულებიდან:


- თესლოვნები (ვაშლი, მსხალი, კომში და სხვა);
- კურკოვნები (ალუბალი, ალუჩა, ბალი, ქლიავი, ატამი, გარგარი და სხვა);
- კენკროვნები (მოცხარი, ყურძენი, მოცვი, მარწყვი, ჟოლო, მაყვალი და სხვა).



შრობისათვის გამოიყენება, ასევე ციტრუსოვანთა ნაყოფი, სუბტროპიკული ხურმა, ბალჩული, ნესვი, გოგრა, სუფრის ყაბაყი.

გასაშრობი ნედლეულის სავარაუდო ზომები:

შრობისათვის განკუთვნილი ნედლეულის შერჩევა ხდება ზომის, ფორმის, ხარისხის, ქიმიური შემადგენლობის, ჯიშობრივი თვისების, ბიოლოგიური მაჩვენებლებისა (თავისებურებისა) და სხვა პარამეტრების მიხედვით.



- გასაშრობი კამა ითვლება ხარისხიანად, თუ ღეროს ყელიდან წვერომდე სიგრძე მერყეობს 25-40 სმ-ს შორის,
- ობრახუშის 12-15 სმ-ს შორის,
- ხახვის ფოთოლის სიგრძე 20-30 სმ-ს შორის.
- კომბოსტოს თავის წონა არ უნდა იყოს 0,8 კგ-ზემეტი;
- ხახვის განივი ჭრილის დიამეტრი 3 სმ-ზე ნაკლები არ უნდა იყოს და წონა 25-50 გრ.
- კარტოფილის მაქსიმალური დიამეტრი არ უნდა იყოს 4 სმ-ზე ნაკლები;
- ჭარხლის უდიდესი დიამეტრი უნდა იყოს 5-14 სმ;
- სტაფილოს უდიდესი დიამეტრი – 2,5-6 სმ;
- ობრახუშის ძირის 2 სმ;
- ძირთეთრას 3 სმ,
- ნიახურის 3 სმ;
- ვაშლის 3-5 სმ;
- გარგარის საშუალო წონა 40-60 გრ;
- ატამის საშუალო წონა 70-82 გრ, (მსხვილი ატამი 80-142 გრ);
- ქლიავის საშუალო წონა 15-31 გრ;
- ალუბალი – 2,25-3,9 გრ;
- შინდი – 1,2-2,4 გრ;
- ჟოლო – 1,2 – 1,6 გრ.

შრობისათვის მნიშვნელოვანია ფორმა. სასურველია შეირჩეს სფეროს ფორმასთან მაქსიმალურად მიახლოებული სიმეტრიული მასალა.


ხილისა და ბოსტნეულის საშუალო ქიმიური შემადგენლობა

დასახელება	კვებისათვის ვარგის ნაწილში შემცველობა %									
	წყალი	ნახშირწყლები		ცილა	უჯრედისი	მეგა	ნაცარი	ვიტამინი C	გართონი	
		სულ	მ.შ. შაქრები							
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	
ხილი										
გარგარი	85,8	10,5	9,5	0,9	0,8	1,3	0,7	7,0	2,0	
აღლუმი	85,5	11,3	10,6	0,8	0,5	1,3	0,6	15,0	0,3	
მსხალი	97,5	10,7	8,0	0,4	0,6	0,3	0,5	4,0	კალი	
ატაში	86,5	10,4	9,5	0,9	0,9	0,7	0,6	10,0	0,5	
ქლიავი	87,0	9,9	9,0	0,8	0,5	1,3	0,5	5,0	0,1	
ვაშლი	86,5	11,3	10,0	0,4	0,6	0,7	0,6	7,0	0,1	
კენჭოფენი										
ყურძნი	81,2	16,5	16,0	0,4	0,6	0,9	0,4	3,0	კალი	
ჟოლო	85,0	5,7	5,5	0,8	2,5	1,7	0,5	30,0	0,3	
ბაღჩული										
ნეპი	89,0	9,0	7,0	0,6	0,8	—	0,5	20,0	—	
სუფრის კახი	92,0	6,2	5,0	0,5	0,7	—	0,6	—	1,5	
ბოსტნეული										
კარტოფილი	75,0	21,0	1,5	2,0	1,0	—	1,0	10,0	კალი	
სუფრის სტაფილი	88,5	8,0	5,5	1,5	1,2	—	0,8	5,0	9,0	
ოხრაუში (ძირი)	85,0	11,0	2,4	1,5	1,7	—	0,8	—	—	
სუფრის ჭარხალი	86,0	10,0	8,0	1,3	0,9	—	1,0	4,0	—	
ძირთვერა	83,0	11,0	2,5	1,4	3,6	—	1,0	—	—	
ნიახური (ძირი)	90,0	6,7	0,8	1,3	1,0	—	1,0	—	—	

ჩვენი მიზანია, შემოგთავაზოთ მზის ენერგიაზე მომუშავე მარტივი ტიპის საშრობებით საოჯახო პირობებში პირადი მოხმარებისა და მცირე ბიზნესის წარმოებისათვის ჩირის დამზადების შესაძლო ტექნოლოგიებისა და მეთოდების აღწერა.

ხილის შრობის პროცესი

შრობის პროცესის დაწყებამდე აუცილებელია ხილის გარეცხვა, რადგან გაუმჯობესდეს ხილის სანიტარული მდგომარეობა და განთავისფლდეს იგი მასზე მიკრული ჭუჭყისაგან. განსაკუთრებით კარგად უნდა გაირეცხოს ბო-




სტრეული (რადგან ის შეხებაშია მიწასთან) და ხილის ის სახეობები რომლებიც შეწამლულია შხამ-ქიმიკატებით. სასურველია, რომ საშრობად გამზადებული ნედლეული გაირეცხოს 40-50 გრადუსამდე წყალში.

მექანიკური დამუშავება

შრობის პროცესის დაწყებამდე სასურველია შერჩეულმა მასალამ გაიაროს მექნიკური დამუშავება, რომლის დრო-საც ზემოქმედება ხდება ნედლეულის კანზე. იფცქვნება მასალა (ეცლება საჭმელად გამოუსდეგარი კანი, კურკა, თესლი), ხდება დაზიანებული ნაწილების მოცილება, იჭრება სასურველ ნაჭრებად და ა.შ.

ბლანშირების ანუ „დათუთქვის“ მეთოდი

კანის გასაცლელად საოჯახო პირობებში ხშირად იყენებენ ე.წ. „დათუთქვის“ ანუ მდუღარე წყალში ხილის ჩაყრის მეთოდს. მდუღარე წყალში ან მაღალ ტემპერატურაზე ორთქლით დამუშავებისას ნედლეულის დამჟანგავი ფერმენტები ხდება პასიური, ნარჩუნდება ნედლეულის ფერი და არ ხდება ვიზუალური მდგომარეობის შეცვლა. ამ დროს ხდება ნაყოფის ნაწილობრივი სტერილიზაცია და გემოვნებითი თვისებების შენარჩუნება.



ცხელი წყლით „დათუთქვა“ ხდება 70-90 გრადუსი (C) ტემპერატურის პირობებში და ხორციელდება მასალის ცხელ წყალში ჩაძირვით. ჩაძირვის ხანგრძლივობა დამოკიდებულია ნედლეულის სახეზე და გრძელდება 3-5 წთ-დან 30-35 წთ-მდე.

სულფიტაცია

სამრეწველო დანიშნულებით ჩირის წარმოებისას ნედლეულის დამუშავების აუცილებელ პროცედურადაა მიჩნეული სულფირება.

იმისათვის, რომ დასამუშავებელ ნედლეულს შეუნარჩუნდეს ბუნებრივი ფერი, ვიტამინი C, გაუმჯობესდეს მისი მისი ვიზუალური აღნაგობა და დაცული იყოს გაფუჭებისაგან, მიმართავენ მის დამუშავებას გამათეთრებელი ნივთიერებით. რომლებიც შეიცავენ ქლორს (NaCl , CaCl_2) თავისუფალი სახით. უკეთესი შედეგი მიიღება ანტი-დამჟანგველების გამოყენებისას. როგორიცაა სხვადასხვა მჟავები (გოგირდოვანი, ასკორბინის, ლიმონის, ფოსფორის), ასევე გოგირდოვანი მჟავის ნატრიუმის მარილები.

ხილისა და ბოსტნეულის შრობა

არსებობს ხილისა და ბოსტნეულის შრობის ბუნებრივი და ხელოვნური მეთოდი. ჩვენ გთავაზობთ ხილისა და ბოსტნეულის შრობის ბუნებრივთან მიახლოებულ ხელოვნურ მეთოდს, რისთვისაც გამოყენებული იქნება მხოლოდ მზის ენერგია.

უკანასკნელი 3-4 წლის განმავლობაში საქართველოს რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციამ, შეიმუშავა სხვადასხვა კონსტრუქციები მზის ენერგიის ეფექტურად გამოყენებისა



და შესაბამისად გლობალური დათბობის და კლიმატის ცვლილების შერბილების პროცესზე ხელშესაწყობად. შემუშავებულია მზის ენერგიაზე მომუშავე მარტივი ტიპის საშრობის რამდენიმე კონსტრუქცია.

წარმოდგენილი მოდელები იმდენად მარტივი და დაბალი თვითღირებულებისაა, რომ ნებისმიერ ოჯახს თუ ფერმერს შეუძლია მისი დამზადება და ექსპლოატაცია. საშრობი იძლევა საშუალებას, საოჯახო პირობებში დამზადდეს ჩირის მნიშვნელოვანი რაოდენობა.

მზა პროდუქცია შეიძლება გამოყენებული იყოს, როგორც პირადი მოხმარებისათვის, ასევე სარეალიზაციოდ.

საქართველოში და სხვა ქვეყნებში მოსახლეობის ტრადიციულ მეთოდებთან (გასაშრობი მასალის გაფენვა მზეზე ან ჩრდილში) შედარებით, შემოთავაზებული კონსტუქციების გამოყენებით შესაძლებელია შრობის პროცესის დაჩქარება, სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმებისა და ტექნილოგიური პროცესის დაცვა.



ხილისა და ბოსტნეულის, ისვე როგორც სხვა ნებისმიერი სასურსათო პროდუქტის შრობისას უმთავრესი ყურადღება ეცევა 2 პარამეტრს, ესენია ტემპერატურა და ტენიანობა.

ტემპერატურა იზომება ცელსიუსის შეალის მიხედვით და არაფრით განსხვავდება საყოფაცხოვრებო პირობებში სხვა დანიშნულებით ტემპერატურის გაზომვისაგან.

ტემპერატურა იზომება სპაციალური თერმომეტრით და ყოვლად დაუშვებელია შრობის მიზნებისათვის სითხიანი (ვერცხლისწყლიანი, სპირტიანი) თერმომეტრის (განსაკუთრებით ვერცხლისწყლიანი თერმომეტრი) გამოყენება, რადგანაც იგი გათვლილია უფრო დაბალი ტემპერატურების გასაზომად (45 გრადუსამდე) და ადვილი შესაძლებელია მისი დაზიანება და საკვებ პროდუქტში სითხის შერევა, რასაც მოყვება უკვე მშრალი ჩირის მოწამვლა.

შრობის პროცესისათვის სარულიად საკმარისია როგორც პროდუქტის, ასევე ჰაერის ტენიანობის (მ.შ. ფარდობითი ტენიანობის) შესახებ ის ინფორმაცია, რომელიც სასკოლო პროგრამის ფიზიკის კურსიდანაა ცნობილი.

ტენიანობა იზომება ხელსაწყოთი, რომელსაც ჰიგრომეტრი ეწოდება.

უმარტივესი ჰიგრომეტრი წარმოადგენს ორ დაწყვილებულ თერმომეტრს, რომელთაგან ერთი მუდმივად დასველებულია და მისი ჩვენება დამკიდებულია იმაზე, თუ რამდენი სითხე ორთქლდება მისი ზედაპირიდან. რაც მეტია აორთქლება (ანუ რაც უფრო მშრალია ჰაერი), მით უფრო ნაკლებს აჩვენებს სველი თერმომეტრი და ორი თერმომეტრის ჩვენებათა სხვაობითა და ჰიგრომეტრის სპეციალური ცხრილის მიხედვით შეგვიძლია დავთვალოთ ჰაერის (ასევე სხვა გარემოს) ტენიანობა.

თანამედროვე პირობებში შესაძლებელია თავიდან ავიკილოთ ეს რთული პროცედურები და შევიძინოთ ელექტრული ჰიგრომეტრი, რომელიც პირდაპირ აჩვენებს თქვენთვის სასურველი პარამეტრის მნიშვნელობას (ტენიანობას ამა თუ იმ გარემოში).



შრობის პროცესისადმი წაყენებული მოთხოვნები

რადგანაც გასაშრობი მასალა შეიცავს სახამებელს, ნახშირწყლებს, ცილებს და სხვა ნივთიერებებს, შრობის პროცესი უნდა წარიმართოს ისე, რომ შენარჩუნებული იყოს სასაარგებლო ნივთიერებები და ბუნებრივი თვისებები – გემო, არომატი, ფერი.

შრობის თანმდევი პროცესები

ხილისა და ბოსტნეულის შრობისას ადგილი აქვს შემ-დეგ ცვლილებებს:

ფიზიკური ხასიათი:

ფიზიკური ცვლილების დროს ხდება აორთქლება, წონა-ში და მოცულობაში კლება, დეფორმაცია, ნაყოფის სტრუ-ქტურისა და მთლიანობის დარღვევა, ბზარების წარმოშო-ბა და სასარგებლო ნივთიერებების ნაწილობრივ დაკარგვა.

ამ ცვლილებებით გამოწვეული არასასურველი შედეგე-ბის თავიდან აცილების მიზნით, უნდა მოხდეს შრობის პროცესზე დაკვირვება და ამ გზით ოპტიმალური რეჟიმის შერჩევა თითოეული სახეობის ხილისა თუ ბოსტნეულისა-თის.

ბიოქიმიური ხასიათი:

ბიოქიმიური ცვლილების დროს ხდება ნახშირწყლების, აზოტოვანი ნივთიერებების, მჟავეების, ვიტამინების, მთრიმლავის და მღებავი ნივთიერებების ცვლილებები (ვი-ზუალური ფაქტორის გაუარესება). ეთერზეთების შემცირ-ება, მაღალი ტემპერატურის პირობებში ვიტამინების (სამკურნალო თვისებების შემცირება) დაშლა.

აღნიშნული პროცესების განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხილისა და ბოსტნეულის შრობისათვის მოსამზადებელი ეტაპების ნორმალურად ჩატარებაზე.

საბოლოო პროდუქტის ტენიანობა დამოკიდებულია გასაშრობი მასალის სახეობაზე და ამ სახეობის ქიმიურ შემადგენლობაზე. რაც მეტია პროდუქტის მჟავიანობა და მასში ეთერზეთების რაოდენობა, მით უფრო მაღალია მას-ში დასაშვები ტენიანობა.

მშრალ ბოსტნეულში საბოლოო ტენიანობა უნდა იყოს 10-15%, ხოლო ხილში დასაშვებია 16-25%.

რეკომენდაციები სხვადასხვა სახის ხილის და ბოსტნეულის შრობის შესახებ

კარტოფილის შრობა

კარტოფილი იჭრება ხვადსხვანაირად, 5-10 მმ ზომის კუბიკებად, ამ 5-7 მმ სისიქის რგოლებად, ითუთქება 3-6 წთ განმავლობაში (100-150 გრადუსი). 47-72 გრადუსის პირობებში მიმდინარეობს



შრობა 3-5 სთ განმავლობაში. მზა პროდუქციის ტენიანობა არ უნდა აღემატებოდეს 12%-ს. ამ პირობებში პროდუქციის გამოსავლიანობა 16%-ის ფარგლებშია.

კომბოსტოს შრობა

კომბოსტოს თავს ეცლება გარე, უხეში, მუქი მწვანე ფერის ფოთლები, იჭრება 3-4მმ სიგანის ზოლებად, ითუთქება (90-95 გრადუსი) 60-80 წამის განმავლობაში და გაუცივებლად ეწყობა საშ-

რობში. 50-60 გრადუსით შრობის პირობებში 1,5 საათში უნდა მივიღოთ 13-14% ტენიანობის პროდუქტი, ხოლ 6-8%-იანი ტენიანობის პროდუქტი მიიღება 50-62 გრადუსით შრობის შემთხვევაში 2,5-3 საათის გამნავლობაში.

სტაფილოს შრობა

სვტებად დაჭრილი სტაფილოსათვის შრობის ოპტიმალური ტემპერატურაა 48-67 გრადუსი და ხანგრძლივობა 3,5 საათი, ხოლო კუბიკებად დაჭრილისათვის 50-75 გრადუსი და 4,5 საათი.

საბოლოო პროდუქტის ტენიანობა უნდა შეადგენდეს 8-14%-ს.



ჭარბლის შრობა

ჭარბლისა და სხვა ძირხვენების შრობის პარამეტრები თითქმის იგივეა, რაც სტაფილოს შემთხვევაში.



მწვანე ბარდის შრობა

შრობისთვის უნდა შეირჩეს ისეთი ბარდა, რომელიც ადვილად სცილდება მწვანე მასას და მისი შრობის პროცესი უნდა დავიწყოთ დაკრეფვისთანავე.

ბარდა იმარცვლება, ირეცხება, ითუთება არაუმეტეს 92 გრასიან წყალში 3-4 წუთის განმავლობაში (ლია მწვანე ფერი იცვლება მუქი მწვანე ფერით) და შრება. პროდუქტის საბოლოო ტენიანობა უნდა შემცირდეს 14%-მდე. ტემპერატურა 48-70 გრადუსის ფარგლებშია, შრობის ხანგრძლივობა 4 საათს უტოლდება.



ნიორის შრობა

ნიორი ქუცმაცდება კბილებად და სუფთავდება, დიდი კბილების შემთხვევაში იჭრება 6-7მმ სისქის ნაჭრებად და დათუთევის გარეშე შრება 8% ტენიანობამდე. შრობის ტემპერატურაა 45-60 გრადუსი, შრობის ხანგრძლოვობა 6 საათი.



ვაშლის შრობა

ვაშლის ჩირის მისაღებად უმჯობესია შეირჩეს მუავე და ტკბილ-მჟავე ჯიშის ვაშლი. ნედლეული არ უნდა იყოს დაუეჭილი, დამბალი, მავნებლებით და ფიზიკური ზემოქმედებით დაზიანებული.

გაშლი შეიძლება გავაშროთ გაფრცევნილი და თესლბუდე ამო-ცლილი ან გაუფრცევნელი (თესლ-ბუდე ამოცლილი) სახით, ყოველგვარი დამუშავების გარეშე. სასურველია თანაბარზომადი ვაშლის ერთად



გაშრობა (თანაბრად გაშრობის მიზნით). ნაყოფი იჭრება 5-6 მმ სისქის

რგოლებად და 41-70 გრადუსის პირობებში შრება 3,5 საათის

განმავლობაში. ჩირის საბოლოო ტენიანობა 20%-ის ფარგლებში მერყეობს.

შესაძლებელია შრობა წარმოებდეს 80-85 გრადუსის პირობებში, ოღონდ შრობის პროცესის დასასრულს ეს ტემპერატურა უნდა შემცირდეს 60 გრადუსამდე. ამ პირობებში შრობის ხანგრძლივობა 5-6 საათი, ზოგჯერ 12 საათს აღწევს.

თუ შეუძლებელია ზემოთ მითითებული ტექნოლოგიური პროცესის ზედმიწვნით დაცვა, მაშინ მიზნად უნდა დავი-სახოთ ჩირში საბოლოო ტენიანობის მიღწევა ჩვენს ხელთ არსებული ყველა საშუალებით.

მსხლის შრობა

მსხლის შრობა მიმდინარეობს ვაშლის ანალოგიურად და მსხლის ჩირის საბოლოო ტენიანობად მიჩნეულია 24%-ი.



ქლიავის შრობა

ქლიავის ჩირის მისაღებად უნდა შეირჩეს მსხვილნაყოფა ჯიშები, რომლებიც ხასიათდებიან წვნიანი, ხორცოვანი რბილობით, წვრილი კურკითა და მშრალი ნივთიერებების მაღალი შემცველელობით.



ქლიავის ნაყოფი ხარისხდება წვრილ და მსხვილ ფრაქტიებად ირეცხება ზედაპირიდან ცვილის გარსის სრულ მოცილებამდე, იმდუღლება მდუღარე წყლით 20-30 წამის განმავლობაში. შრობა მიმდინარეობს 64-80 გრადუსის პირობებში და ეს პროცესი საკმაოდ

ხანგრძლივია, შესაძლოა 16 ან 24 საათიც კი. ქლიავის ჩირის საბოლოო ტენიანობა მცირდება 25%-მდე.

ალუბლის შრობა

შრობისათვის გამოიყენება ალუბლის სხვადასხვა ჯიშები (შპანკა, საგვიანო და სხვა). ხილს ეცლება ყუნწი და ირეცხება. შრობის პროცესი პირველად მიმდინარეობს 58-60 გრადუსის პირობებში და შემდგომში იზრდება 70-82 გრადუსამდე. ალუბლის ჩირის საბოლოო ტენიანობაა 18%, შრობის ხანგრძლივობა შესაძლოა გაგრძელდეს 12 საათამდე.



გარგარის შრობა

ჩირის მისაღებად გამოიყენება ისეთი ჯიშები, რომლებიც ხასიათდებიან მშრალი ნივთერებებისა და შაქრის მაღალი შემცვლელობით.

გარგარის ნაყოფი ითუთქება 95-98 გრადუსის ტამპერატურაზე 2 წუთის განმავლობაში (მსხვილი ნაყოფი 3-4 წუთი). შრობა მიმდინარეობს 60-80 გრადუსის პირობებში 12-15 საათის განმავლობაში. ჩირის ოპტიმალრი ტენიანობაა 25-30%.



ატმის შრობა

შრობისათვის გამოიყენება საპობი ატმის ჯიშები, რომელიც იჭრება 35-50მმ სისქის ნაჭრებად და ითუთქება მდუღარე წყალში 1,5 წუთის განმავ-



ლობაში. შრობის პროცესი ისეთივეა, როგორც გარგარი-სათვის საბოლოო ტანიანობა 18%.

ლელვის შრობა

ლელვის ჩირის მისაღებად ნაყოფი ითუთქება მდუღარე წყალში 1,5 წუთი, შრება 2 დღის განმავლობაში მზეზე, შემდეგ ხდება მისი გაშრობა 60-70 გრადუსის ტემპერატურაზე 16 საათის ხანგრძლივობით.



საბოლოო ტენიანობა 20-25%.

კარგად გამშრალი და შეფუთული ლელვისა და ზოგიერ-თი სხვა ჩირი ინახება 2-3 წლის განმავლობაში და ამავე დროს ინარჩუნებს საუკეთესო კვებით ღირებულებებს.

ხურმის/კარალიოკის შრობა

ხურმის ჩირის მისაღებად შრობა მი-მდინარეობს 40-60 გრადუსის ტემპერა-ტურაზე, შრობის ხანგრძლივობა მთლი-ანი ნაყოფისთვის შეადგენს 50-70 საათს, დაჭრილი ნაყოფისათვის 20-24 საათს.



ხურმის ჩირის საბოლოო ტენიანობა 20-30%.

კენკროვანი ხილის შრობა

კენკროვანი ხილის ჩირის მი-საღებად გამოიყენება როგორც კულტურული, ასევე ველური ჯიშის კენკროვნები (მარწყვი, ჟოლო, შავი მოცხარი, მაყვალი, მოცვი და სხვა). ნაყოფს ეცლება ყუნწი, ირეცხება წყალში და იწრიოტება. შრობა ტარდება 45-55 გრადუსის ტემპერატუ-რაზე 8-12 საათის განმავლობაში. პროდუქტის საბოლოო ოპტიმალური ტენიანობაა 18-19%.



ყურძნის შრობა

ყურძნის შრობის დიდი გამოც-
დილება და ტრადიციები გააჩნი-
ათ შუა აზიის ქვეყნებს. შრობი-
სათვის გამოიყენება ყურძნის სხ-
ვადსხვა ჯიშები (უთესლო, თეს-
ლიანი,) და საგულდაგულოდ ირჩევა ვენახიც. სასურვე-
ლია, რომ ყურძნის შაქრიანობა აღემატებოდეს 20%-ს.
შაქრიანობის აწევის მიზნით, მოკრეფვამდე გარკვეული
პერიოდის განმავლობაში, თავს იკავებენ ვენახის მორწყ-
ვისაგან. შესაძლებელია როგორც მტევნის, ასევე მარცვ-
ლების გაშრობა. შრობამდე, ყურძნი ითუთქება მდუღარე
წყალში 2-3 წმ-ის განმავლობაში, შემდეგ ხდება მისი გა-
ციება. მარცვლების შრობის ხანგრძლივობა 3-4 დღე, მტე-
ვნის 7-8. მტევნის შრობის შემთხვევაში, საჭიროა მისი
გადაბრუნება.



ყურძნის ჩრდილში შრობის პირობებში შესაძლებელია
ბუნებრივი ფერის შენარჩუნება. გამომშრალი ყურძნის სა-
ბოლოო ტენიანობა 18%-ის ფარგლებშია.

მშრალი ხილ-ბოსტნეულის დახარისხება, დაყოვნება, შეფუთვა და შენახვა

გამომშრალი ხილი და ბოსტნეული, თუ იგი სარეალი-
ზაციოდაა განკუთვნილი, უნდა დახარისხდეს და დაჯგუფ-
დეს თანაბარზომიერ პროდუქტებად.

სასურველია თითოეული ასეთი ჯგუფის ერთ საერთო
ჟურნალში დაყოვნება 1-2 დღის განმავლობაში, რათა
მოხდეს ტენის გადანაწილება და გათანაბრება ერთმანეთ-
ში.


მშრალი ხილისა და ბოსტნეულის შენახვას აწარმოებენ
ისეთ დაცულ ადგილას, სადაც არ მოხდება მწერებისა და
მავნებლების შეღწევა.

შენახვის მთელ პერიოდში საცავში დამყარებული უნდა
იყოს მუდმივი ტემპერატურა და ტენიანობა.

მშრალი პროდუქციის შენახვის ოპტიმალური ტემპერატურაა 10 გრადუსი, ტენიანობა კი 12-14%.

თუ ვერ ვასერხებთ ამ პირობების დაცვას, მაშინ ის მაინც უნდა მოვახერხოთ, რომ საცავში ტემპერატურა არ აღემატებოდეს 20 გრადუსს და ტენიანობა 75%-ს.

სხვადასხვა სახის მზის ხილის და ბოსტნეულის საშრობები



გამოყენებული ლიტერატურა

გამოყენებული ლიტერატურა: „ხილისა და ბოსტნეულის შრობის მარტივი ტექნოლოგია“ ავტორი ამირან შავლეიშვილი (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი, 1985 წელი).

„ხილისა და ბოსტნეულის შრობის ტექნოლოგია“ - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო

A Review of Solar Food Drying by Barbara Kerr -2007

PERFORMANCE EVALUATION OF AN AFFORDABLE SOLAR DRYER FOR DRYING CROPS

W. Senadeera, I.S. Kalugalage



Ministry of Foreign Affairs of the
Netherlands

პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს მწვანეთა მოძრაობა, მასში გამოთქმული მოსაზრებები არ უნდა იქნეს მიჩნეული დონორთა მოსაზრებებად.

